

საგარეო ოსალ გავრდა იურისტა ასოციაცია



**ადგილობრივი
თვითმმართველობების მიერ
დაფუძნებული არასამხარებო
(არაკომერციული) იურიდიული
პირების საქმიანობის
მიმოხილვა**

თბილისი
2013

კვლევა განხორციელებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ფონდი «ლია საზოგადოება საქართველოს» მხარდაჭერით კოალიციური პროექტის - «ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზენოლის შემთხვევების გამოვლენა» ფარგლებში.

კვლევის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის შეხედულებებს.



ავტორი: გიორგი ნარმაია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხაძე
სულხან სალაძე**



აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2013, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
1. კვლევის მიზნები	3
2. მეთოდოლოგია	4
3. კვლევის ძირითადი მიგნებები	4
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და ნიშნები	6
1. ააიპ-ის ადგილი იურიდიულ პირთა სისტემაში	6
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შექმნილი ააიპ	8
ა) შესყიდვების კანონმდებლობა	9
ბ) ქონების განკარგვა	12
გ) საჯარო ინფორმაცია	13
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის მიმოხილვა	16
თბილისი	16
1. შესავალი	16
2. ააიპ “ახალი თბილისი”	17
3. ააიპ “თბილისის განვითარების ფონდი”	21
4. ააიპ “თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტო”	23
ბათუმი	25
1. შესავალი	25
2. ააიპ “სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო”	27
3. ააიპ “ბათუმის კორპუსი”	29
ზუგდიდი	33
1. შესავალი	33
2. ააიპ “სპორტის განვითარების ცენტრი”	34
3. ააიპ “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმონყოფის ცენტრი”	36

ქუთაისი	40
1. შესავალი	40
2. ააიპ “თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ცინულის მოედანი”	42
3. ააიპ “ქალაქ ქუთაისის მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკი”	44
გორი	48
1. შესავალი	48
2. ააიპ “თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი “დილა”	49
3. ააიპ “კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღი”	51
რუსთავი	53
1. შესავალი	53
2. ააიპ “უზრუნველყოფა”	54
3. ააიპ “ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება”	58
თელავი	61
1. შესავალი	61
2. ააიპ “თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი”	63
3. ააიპ “თელავის სასპორტო გაერთიანება”	66
დასკვნა და რეკომენდაციები	70

შესავალი

1. კვლევის მიზნები

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა დაიწყეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (შემდგომში „ააიპ“) დაფუძნება და საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვანი ფუნქციების აღნიშნულ პირებზე დელეგირება. ამგვარი ააიპ-ები საქმიანობისათვის საჭირო ძირითად სახსრებს სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან იღებენ წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის ანალიზი და ძირითადი ტენდენციების დადგენა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში „საია“) აქტიურად საქმიანობს აღნიშნული მიმართულებით. 2012 წელს გამოქვეყნდა საიას სამართლებრივი კვლევა სახელწოდებით „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“, სადაც განხილულია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად შექმნილი სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობა. წინამდებარე კვლევა აგრძელებს აღნიშნულ ციკლს და აქცენტს აკეთებს საქართველოს სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ააიპ-ების დაფუძნებაზე.

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს შემდგომი მიმართულებების ანალიზი წარმოადგენს:

- ა) რამდენი ააიპ აქვს დაფუძნებული ამა თუ იმ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოს და ძირითადად რა მიზნებისა და საქმიანობის განსახორციელებლად იქმნება ისინი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების წესდებათა მიმოხილვა, მათში შესული ცვლილებების მონიტორინგი და არსებული ტენდენციების დადგენა;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის კონტრო-

ლის ანალიზი და მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების მონიტორინგი.

ამასთან, კვლევის მიზანს არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს ესა თუ ის ააიპ და რა რეალური დაბრკოლებები თუ უპირატესობები ახასიათებს საქმიანობის ამგვარ ფორმას. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა მხოლოდ არსებული სამართლებრივი ბაზა და ააიპ-ების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

2. მეთოდოლოგია

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგია:

- პირველ ეტაპზე განხორციელდა არსებული სამართლებრივი ბაზის, კერძოდ კი, შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისი ნორმების ანალიზი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ და სხვა;
- შემდგომში მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია 7 ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებიდან მათ მიერ დაარსებული ააიპ-ების შესახებ;
- ბოლო ეტაპზე კი, განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი.

3. კვლევის ძირითადი მიგნებები

საიას მიერ მომზადებულმა კვლევამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე ააიპ-ების საქმიანობის ფორმაში, კერძოდ:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და საქართველოს კანონი „ადგილობრივი

თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ” არ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის გამჭვირვალობას და მათ მიერ განხორციელებული შესყიდვების თუ ქონების გასხვისების კონტროლს;

- ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოები ააიპ-ების დაფუძნების მიზნით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას არ ასაბუთებენ, თუ რა გარემოებები დაედო საფუძვლად ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას;
- ზოგიერთ შემთხვევაში, წესდებით არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების კონტროლის მექანიზმები, ხოლო სხვა შემთხვევაში, არ ხდება არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანად გამოყენება.

აღნიშნული და სხვა მიგნებები, შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, კვლევაში დეტალურად არის აღწერილი.

არასამართლები (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და ნიშნები

1. ააიპ-ის ადგილი იურიდიულ პირთა სისტემაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირები ორ კატეგორიად იყოფიან: ფიზიკური პირები და იურიდიული პირები.¹ ამავე კოდექსის 24-ე მუხლი აყალიბებს იურიდიული პირის ცნებას, რომლის თანახმადაც, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.² იურიდიული პირის მრავალი სახე არსებობს. ის შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევროთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, შესაძლებელია, გამოვყოთ იურიდიული პირის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიშანი: ყოველი იურიდიული პირი იქმნება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და ის, როგორც სამართლებრივი სუბიექტი, სწორედ ამ მიზანს ემსახურება; ამასთან, ყოველი იურიდიული პირი წარმოადგენს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის იქმნება არა ერთჯერადი მოქმედების შესასრულებლად, არამედ ხანგრძლივი ვადით; იურიდიული პირის ქონება განცალკევებულია მისი დამფუძნებლების ქონებისაგან და ა.შ.

იურიდიული პირები, თავის მხრივ, იყოფიან საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად.³ საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესს

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კარი პირველი.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

³ ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 103.

განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“.⁴ აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.⁵ საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა შეზღუდულია და იგი უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.⁶

კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. კერძო სამართლის იურიდიული პირები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფიან: სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირები, რომელთა მიზანს წარმოადგენს სამენარმეო საქმიანობა და არასამენარმეო (არაკომერციული პირები) იურიდიული პირები, რომლებიც, ძირითადად, არ მისდევენ სამენარმეო საქმიანობას. მათ იდეალური მიზნის მქონე იურიდიულ პირებსაც უწოდებენ. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა შეიქმნას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;⁷

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 3; საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, მუხლი 1.

⁵ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1.

⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25, ნაწილი 1.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 5.

ხოლო იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამენარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.⁸

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ძირითადი საქმიანობა არ შეიძლება იყოს მენარმეობა, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, იგი უფლებამოსილია, ეწოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომლისგან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.⁹ სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს და მისი საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესაძლებლობას, თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე.¹⁰ სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება მის საქმიანობას, ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შექმნილი ააიპ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნან გაერთიანება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 6.

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25, ნაწილი 5.

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 33.

ფორმით.¹¹ ამგვარ უფლებამოსილებას ასევე ითვალისწინებს კანონი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“. აღნიშნული კანონის 23¹ მუხლის ზ¹ პუნქტის თანახმად, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო სამართლის (სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.¹²

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად იყენებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას და მათი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის შესასრულებლად აარსებენ ააიპ-ებს. აღნიშნულ თავში განხილულ იქნება, კანონმდებლობის რა ნაწილი ვრცელდება ამგვარ ააიპ-ებზე.

ა) შესყიდვების კანონმდებლობა

2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა დაანერგა. ამ მიზნით, შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა,¹³ შეიქმნა ელექტრონული ტენდერების პროგრამა და განხორციელდა სხვა ღონისძიებები. სააგენტოს განცხადების თანახმად, ამგვარი სისტემის დაწესების უმთავრესი მიზანი მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კორუფციის გამორიცხვა, საზოგადოების ნდობისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა გახლდათ.¹⁴ 2010 წლის 1 დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენება სავალდებულო გახდა. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ადგენს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების სამ წესს: ელექტრონული ტენდერი, გამარტივებუ-

¹¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1.

¹² საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“, მუხლი 23¹, პუნქტი ზ¹; იხ. ასევე: მუხლი 38, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „თ“.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, N3163.

¹⁴ ელექტრონული შესყიდვების სისტემის პრეზენტაცია, 25 ოქტომბერი, 2010. იხილეთ მშული: http://procurement.gov.ge/index.php?sec_id=10&lang_id=GEO&info_id=112 (ბოლო განახლება, 11 ოქტომბერი, 2012).

ლი ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული შესყიდვა.¹⁵

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა საერთაშორისო დონეზეც იქნა აღიარებული, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმი. სწორედ ამ კატეგორიაში დაიმსახურა მან გაეროს საჯარო სერვისების ჯილდო, რომელიც საჯარო სამსახურის წარმატებული საქმიანობის მნიშვნელოვან აღიარებას წარმოადგენს.¹⁶

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა გავრცელდეს სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ყველა ასპექტში. როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესასრულებლად იქმნება ააიპ-ები, რომლებიც ქონებას ადგილობრივი თვითმმართველობისაგან იღებენ და სწორედ მათ წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ააიპ-ების საქმიანობის პროცესში, კონკრეტულად კი, მათ მიერ შესყიდვების განხორციელებისას, ასევე გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ არ ქმნის ნათელ სურათს, ეკისრებათ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებს შესყიდვების კანონმდებლობის გამოყენების ვალდებულება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განმარტავს „სახელმწიფო შესყიდვის“ ცნებას და ექსპლიციტურად მხოლოდ ორი კატეგორიის ააიპ-ის მიერ განხორციელებული შესყიდვაზე მიუთითებს, ესენია: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი.¹⁷ შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ აღნიშნულ

¹⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტები „ჟ“, „რ“, „ს“.

¹⁶ 2012 United Nations Public Service Awards, 25-27 ივნისი, 2012, იხილეთ ბმული: <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan049650.png> (ბოლო განახლება, 11 ოქტომბერი, 2012).

¹⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“(ა.ზ).

ააიპ-ებზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი სისტემა. თუმცა, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვად ჩაითვლება შესყიდვა, რომელიც განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით. შესაბამისად, შესაძლებელია, ამ განმარტებაში ასევე მოვიაზროთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ, რადგან იგი სწორედ ამ ერთეულის ბიუჯეტიდან ფინანსდება. დღესდღეობით ხშირია შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები თუ მათ მიერ დაფუძნებული ააიპ-ები პირველი ვარიანტის შესაბამისად განმარტავენ კანონმდებლობას და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებულ ყველა ააიპ-ზე არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჩამონათვლის დაზუსტება და იმის გამორიცხვა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ააიპ-ები გამოიყენონ შესყიდვების კანონმდებლობის გვერდის ავლის მიზნით. ამგვარი შესაძლებლობა იწვევს ნაკლებ გამჭვირვალობას და აჩენს კორუფციული გარიგებების საფრთხეს.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომ სახელმწიფოს თუ თვითმმართველი ერთეულის სახსრებით განხორციელებული თითოეული სახელმწიფო შესყიდვა ამ სისტემაში მოექცეს. შესაბამისად, არასასურველია, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაარსებულმა ააიპ-ებმა, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ დამფუძნებელთაგან მიღებული სახსრებია, გვერდი აუარონ სახელმწიფო შესყიდვების სისტემას. დღევანდელი კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მნიშვნელოვანია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში დაავალდებულებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებს, გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა.

ბ) ქონების განკარგვა

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ქონების კატეგორიებს, მისი შექმნის წესს, ქონებრივ უფლებებს, ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“.¹⁸ აღნიშნული კანონის მე-19¹ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის, პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმებით. აღნიშნული კანონი („სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად) არეგულირებს ქონების გასხვისების თითოეულ აღნიშნულ ფორმას და ახდენს მათ რეგლამენტირებას, რათა ქონების განკარგვისას დაცული იყოს საჯარო ინტერესები.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ გადანყვებილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე. შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარეს აქვს უფლებამოსილება, ზემოხსენებული ფორმების გვერდის ავლით გადასცეს ქონება თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ს. ხოლო შემდგომ, თავის მხრივ, ააიპ-ს შეუძლია გაასხვისოს მიღებული ქონება მესამე პირზე. მას არ ეკისრება ვალდებულება, გასხვისებისას გამოიყენოს კანონით დადგენილი ფორმები.¹⁹ შესაძლებელია, ამგვარი ააიპ-ის წესდებით დადგინდეს გარკვეული შეზღუდვა ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით ან/და ქონება მხოლოდ სარგებლობაში გადაეცეს მას, თუმცა, რასაკვირველია, ეს სრულად არ აგვარებს არსებულ პრობლემას.

მსგავსი შინაარსის ნორმას ითვალისწინებს კანონი „საქა-

¹⁸ საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 1.

¹⁹ იხ. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, მუხლი მე-19¹, პუნქტი 9.

რთველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ”. აღნიშნული კანონის 23¹ მუხლის „ი” პუნქტის თანახმად, ქ.თბილისის მთავრობას უფლება აქვს, თავისივე დაფუძნებულ ააიპ-ს საკუთრებაში გადასცეს ფინანსური სახსრები და ქონება.²⁰ ამ შემთხვევაშიც, შესაძლებელია ააიპ-მ მიიღოს ქონება ქალაქის მთავრობისაგან, ხოლო შემდეგ გაასხვისოს იგი იმ პროცედურების გვერდის ავლით, რომლის დაცვაც მოუწევდა მთავრობას, თუ თვითონ გაასხვისებდა აღნიშნულ ქონებას.

ქონების ამგვარი წესით რეალიზაციის შესაძლებლობა მნიშვნელოვან შეკითხვებს აჩენს გამჭვირვალობასთან დაკავშირებით და ქმნის კორუფციის საფრთხეს, რადგან შესაძლებელია, ქონება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში გახლდათ და გადაეცა ააიპ-ს, გასხვისდეს ყოველგვარი კონტროლის გარეშე. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, პრაქტიკაში არაერთი ამგვარი შემთხვევა არსებობს.²¹

გ) საჯარო ინფორმაცია

სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ები, როგორც წესი, ამა თუ იმ საჯარო ფუნქციის შესასრულებლად თუ უფლებამოსილების განსახორციელებლად იქმნებიან. შესაბამისად, საინტერესოა არსებული სამართლებრივი რეჟიმის განხილვა, მათი – როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სუბიექტების – კვლევის თვალსაზრისით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განმარტავს საჯარო ინფორმაციის ცნებას, რომლის თანახმადაც, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმ-

²⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ”, მუხლი 23¹, პუნქტი „ი”.

²¹ იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა, სამართლებრივი მიმოხილვა”.

ნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.²²

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, ვალდებულია თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაარსებული ააიპ, გასცეს საჯარო ინფორმაცია, უნდა დავადგინოთ, ექცევა თუ არა იგი საჯარო დაწესებულების ცნების ქვეშ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებად ითვლება: 1) ადმინისტრაციული ორგანო და 2) სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.²³

1) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი „ადმინისტრაციული ორგანოს“ შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ააიპ-ებს, როგორც წესი, თავისივე ფუნქციების თუ უფლებამოსილებების განსახორციელებლად ქმნიან, ამგვარი ააიპ შესაძლოა ჩაითვალოს პირად, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. შესაბამისად, იგი უნდა მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ ორგანოდ, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ სუბიექტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს, ასრულებს თუ არა ესა თუ ის ააიპ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და, შესაბამისად, განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა ის ადმინისტრაციულ ორგანოს.

2) სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ, როგორც

²² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, პუნქტი „მ“. 2013 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულ ჩამონათვალს დაემატება „საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“.

²³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27, პუნქტი „ა“.

წესი, ქონებას და საქმიანობისათვის საჭირო ფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებს. შესაბამისად, აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, იგი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია.

თუმცა, პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ები უარს აცხადებენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ საქმიანობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი და არ ეკისრებათ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების მიერ მათთან დაცული საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა. შედეგად, მათი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახდება და საზოგადოებას მიეცემა კონტროლის შესაძლებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის მიმოხილვა

საიამ გამოითხოვა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების შესახებ 7 ტერიტორიული ერთეულიდან, ესენია: თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი, გორი და რუსთავი. წინამდებარე თავში მოცემულია კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებები ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

თბილისი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა ქ.თბილისის მერიისა და ქ.თბილისის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).²⁴

ქ. თბილისის მერია საიას განცხადებას 2012 წლის 12 ოქტომბერს გამოეხმაურა²⁵ და მოგვანოდა მხოლოდ ქ.თბილისის მერიის ბაზაში მოძიებული 56 ააიპ-ის სია. მერიამ უპასუხოდ

²⁴ განცხადებები #გ-04/330(14)-12 და #გ-04/330(15)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

²⁵ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მასივალური 10 დღინი ვადა.

დატოვა საიას მოთხოვნის სხვა ნაწილები, კერძოდ, აღნიშნული პირების საკონტაქტო ინფორმაცია და მათ მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშები.²⁶ რაც შეეხება ქ.თბილისის საკრებულოს, იგი საერთოდ არ გამოეხმაურა საიას განცხადებას.

ქ. თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ააიპ-ების სია ძირითადად მოიცავს მემორიალურ ბინა-მუზეუმებს, ხელოვნების სკოლებს, სპორტულ ცენტრებს. თუმცა, ჩამონათვალში ასევე ვხვდებით, იმ ააიპ-ებს, რომლებიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დედაქალაქში მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდნენ. ამ პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე, ჩვენს კვლევაში აღნიშნულ პირებზე გამახვილდა ყურადღება, კერძოდ: ააიპ „ახალი თბილისი“, ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“ და ააიპ „აგლომერაციის განვითარების სააგენტო“.

2. ააიპ „ახალი თბილისი“

2011 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალი თბილისის“ (შემდგომში „ფონდი“) დაფუძნების თაობაზე.²⁷ ქალაქის მთავრობასთან ერთად აღნიშნული იურიდიული პირის თანადამფუძნებლად გვევლინება ააიპ „ძველი ქალაქის განვითარების ფონდი“ (ააიპ „ძველი ქალაქის განვითარების ფონდი“, თავის მხრივ, დაფუძნდა ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის დადგენილებით და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2005 წლის 31 მარტს).²⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ფონდი რეგისტრაციაში გაატარა 2011 წლის 1 ნოემბერს.²⁹

თბილისის მერიის მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, 2012 წლიდან დაგეგმილი იყო დიდი ტერიტორიაზე

²⁶ ქ. თბილისის მერია, წერილი #11/162033-7, 12 ოქტომბერი, 2012.

²⁷ ქ. თბილისის მთავრობა, დადგენილება #30.01.1200, 28 ოქტომბერი, 2011.

²⁸ ააიპ „ძველი ქალაქის განვითარების ფონდის“ საქმიანობის შესახებ იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა, სამართლებრივი მიმოხილვა“, თბილისი, 2012, გვ. 9-18.

²⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება # B11158015/3, 1 ნოემბერი, 2011.

ახალი უბნის — ახალი თბილისის მშენებლობა, რომელიც 230 ჰექტარს მოიცავდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო სახელმწიფო უწყებები, საელჩოები, კომერციული და საოფისე ფართები, საცხოვრებელი სახლები და რეკრეაციული ზონა. გეგმის თანახმად, ამ პროცესში შეიქმნებოდა ათასობით სამუშაო ადგილი და პროექტში ჩაიდებოდა მილიონობით ინვესტიცია. პროექტის პრეზენტაცია საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ 2011 წლის 23 ნოემბერს გამართეს.³⁰

ფონდის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები და საქმიანობის ფორმები, კერძოდ:

- ქ. თბილისის ტერიტორიაზე ქალაქის ახალი ნაწილის (რაიონის) მშენებლობის მიზნით ურბანული, სატრანსპორტო და სხვა სახის სტრატეგიის შემუშავება, განხორციელება ან/და შესრულების კონტროლი;
- ქ. თბილისის ტერიტორიაზე ქალაქის ახალი ნაწილის (რაიონის) მშენებლობის მიზნით, ინვესტიციების დაინტერესება და შესაბამისი საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და მონაწილეობა;
- ქონების მართვის და ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- ქალაქისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა და აღნიშნული პროექტების მიმდინარეობის ზედამხედველობა-კონტროლი;
- თბილისის ახალი ნაწილის მშენებლობის, განვითარებისა და ინვესტირებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის გაძლიერების გზით;
- თბილისის განვითარების პროცესში კერძო ინვესტიციების ჩართვის ხელშეწყობა და, ამ მიზნით, საინვესტიციო ჯგუფებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი შეთავაზებების მიწოდება;

³⁰ XXI საუკუნის გრანდიოზული პროექტი - ახალი უბანი თბილისში, 23 ნოემბერი, 2011, იხ. www.tbilisi.gov.ge/news/380 (ბოლო განახლება: 22 ოქტომბერი, 2012).

- პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა;
- პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, ქალაქის განვითარების პროცესებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით;
- ქალაქის განვითარების მიზნით, პრაქტიკული საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ან/და განხორციელების კონტროლი;
- საინვესტიციო პროექტების შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესის კონტროლი.³¹

წესდების თანახმად, ფონდს ასევე მიენიჭა დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, ამგვარი საქმიანობიდან მიღებული მოგება რეინვესტირებული უნდა ყოფილიყო ფონდის მიზნების, მისი განვითარებისა და სხვა აუცილებელი საქმიანობების განსახორციელებლად. წესდებით ასევე განისაზღვრა ფონდის უფლება, განეხორციელებინა სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

ასევე, მნიშვნელოვანია ფონდის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც, წესდების თანახმად, შემდეგი სახესრებით იქმნება:

- დამფუძნებლების ქონებრივი და ფინანსური შენატანები/შემოწირულობები;
- ფონდის დამხმარე სამენარმეო საქმიანობა, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები;

³¹ ააიპ „ახალი თბილისის“ წესდება, მუხლი 2, პუნქტი 1.

- ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობები;
- გრანტები;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლები;
- სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.³²

ფონდის გამგეობასა და თავმჯდომარეს დაეკისრათ პასუხისმგებლობა ფონდის ფულადი სახსრების მიზნობრივ განკარგვასა და ქონების დაცვაზე. წესდებით ასევე განისაზღვრა გამგეობის გადანყვეტილებით ფონდის ქონების გასხვისების შესაძლებლობა, თუ ამგვარი გადანყვეტილება ხელს შეუწყობდა ფონდის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურებოდა საქველმოქმედო საქმიანობას.

- ფონდის ლიკვიდაცია

2012 წლის 11 ოქტომბერს ქ. თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება ფონდის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაწყების თაობაზე და ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო 15 ოქტომბერს. აღსანიშნავია, რომ დადგენილება არ მოიცავს არავითარ დასაბუთებას და არ მიუთითებს, თუ რა გახდა ფონდის ლიკვიდაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების საფუძველი. ფონდის ლიკვიდაცია მოხდა ისე, რომ მას არ განუხორციელებია მისი მიზნებით გათვალისწინებული არც ერთი პროექტი.

საიამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია ქ. თბილისის მერიიდან და მოითხოვა მერიის მიერ დაარსებული ააიპ-ების (მათ შორის, ააიპ „ახალი თბილისის“ მიერ ქ.თბილისის მერიისათვის წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები. თუმცა, მოთხოვნის ეს ნაწილი ქ. თბილისის მერიამ უპასუხოდ დატოვა და შესაბამისი ინფორმაცია არ მოგვანოდა.

³² ააიპ „ახალი თბილისის“ წესდება, მუხლი 6.

3. ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“

2010 წლის 16 ივლისს ქ.თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის განვითარების ფონდის“ (შემდგომში „ფონდი“) დაფუძნების თაობაზე. აღნიშნული ფონდის დაფუძნება და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები აისახა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევაში „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა, სამართლებრივი მიმოხილვა“.³³ თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ფონდი დღემდე აგრძელებს საქმიანობას და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მის წესდებაში შესული შემდგომი ცვლილებების ანალიზი.

თავდაპირველად კი, მოკლედ მიმოვიხილოთ ის ძირითადი საკითხები და პრობლემები, რომლებზეც ყურადღება იქნა გამახვილებული საიას წინა კვლევაში. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 16 ივლისს ქ. თბილისის მთავრობამ ფონდი ერთპიროვნულად დააფუძნა, რამდენიმე კვირის შემდეგ – 2010 წლის 6 აგვისტოს – ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ მისი თანადამფუძნებელი გახდა.³⁴ პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ფონდის სანესდებო მიზნები თითქმის იდენტური გახლდათ. შესაბამისად, დაუდგენელია, თუ რატომ გახდა საჭირო ახალი ააიპ-ის დაფუძნება და რატომ არ იყო შესაძლებელი, იმავე მიზნების მიღწევა და პროექტების განხორციელება არსებობული ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ მიერ. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა გახლდათ აღნიშნული ფონდის საქმიანობის გაუმჭვირვალობა, რადგან თბილისის მერია უარს აცხადებდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მის მიერ ფონდში განხორციელებული შენატანების თაობაზე. ამასთან 2010 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით, ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს“, როგორც თანადამფუძნებელს, უფლება მიეცა, შესაბამისი შენატანები განეხორციელებინა ფონდში.³⁵

³³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა, სამართლებრივი მიმოხილვა“, თბილისი, 2012, გვ. 18-24.

³⁴ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილება.

³⁵ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილების მე-2 პუნქტი.

დაფინანსების ამგვარი სისტემა სრულიად გაუმჭვირვალეს ხდიდა ფონდის მიერ მიღებულ დაფინანსებას და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რა თანხა მიიღო ფონდმა ქ. თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული სახსრებიდან.

- ცვლილებები ფონდის წესდებაში

ა) 2011 წლის 22 ივლისს დარეგისტრირდა ცვლილება ფონდის წესდებაში, კერძოდ, შეიცვალა წესდების 6.3.3 მუხლი.³⁶ წესდების თავდაპირველი რედაქციის თანახმად, ფონდის უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვისა ან გასხვისებისთვის აუცილებელი იყო ფონდის დამფუძნებლების თანხმობა. შესაბამისად, ფონდის თავმჯდომარესა და გამგეობას არ შეეძლოთ დამფუძნებლების – თბილისის მერიისა და ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ – თანხმობის გარეშე უფლებრივად დაეტვირთათ ან გაესხვისებინათ უძრავი ქონება. ცვლილებების შემდეგ კი, თავმჯდომარეს უფლებამოსილება მიეცა, გამგეობასთან შეთანხმებით შეეძინა, ნებისმიერი ფორმით გაესხვისებინა, უფლებრივად დაეტვირთა და სხვაგვარად განეკარგა ფონდის უძრავი ქონება. შესაბამისად, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის უფლებამოსილება გაიზარდა და გაუქმდა მათ მიერ უძრავი ქონების განკარგვაზე დამფუძნებელთა კონტროლი.

ბ) მიუხედავად პირველ პუნქტში განხილული ცვლილებისა და წესდების 6.3.3 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებისა, წესდებაში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რჩებოდა 4.1.10 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, დამფუძნებელთა უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა ფონდის მიერ უძრავი ქონების შეძენასა და მის განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, 2011 წლის 22 ივლისს დარეგისტრირებული ცვლილება ფაქტობრივად წინააღმდეგობაში მოდიოდა წესდების 4.1.10 მუხლთან. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად წესდებაში კვლავ შევიდა ცვლილება, რომელიც 2012 წლის 2 აპრილს დარეგისტრირდა.³⁷ აღნიშნული ცვლილების თანახმად, გაუქმდა წესდების 4.1.10 მუხლი და დამფუძნე-

³⁶ ქ. თბილისის მთავრობა, დადგენილება #18.36.780, 12 ივლისი, 2011.

³⁷ ქ. თბილისის მთავრობა, დადგენილება #09.01.266, 22 მარტი, 2012.

ბელთა მონაწილეობა უძრავი ქონების შექენისა და განკარგვის საკითხებში გამოირიცხა.

საიამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია ქ. თბილისის მერიიდან და მოითხოვა მერიის მიერ დაარსებული ააიპ-ების (მათ შორის ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“) მიერ ქ. თბილისის მერიისათვის წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები. თუმცა, მოთხოვნის ეს ნაწილი ქ. თბილისის მერიამ უპასუხოდ დატოვა და შესაბამისი ინფორმაცია არ მოგვანოდა.

4. ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტო“

ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში სააგენტო) ჩვენს კვლევაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით მოხვდა. აღნიშნული სააგენტო 2009 წლის 12 იანვარს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით დაფუძნდა.³⁸ ის ასევე მითითებულია 2012 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის მიერ მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში, სადაც ჩამოთვლილია მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ-ები.³⁹ სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს ვებ-გვერდზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის აპრილში თბილისში ჩატარდა ბიზნეს-ფორუმი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მხარდამჭერი სწორედ თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტო გახლდათ.⁴⁰

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სააგენტო არ არის რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში და მის შესახებ მონაცემები არ მოიპოვება.

³⁸ ქ. თბილისის მთავრობა, დადგენილება #01.07.07, 12 იანვარი, 2009.

³⁹ ქ. თბილისის მთავრობა, წერილი #11/162033-7, 12 ოქტომბერი, 2012.

⁴⁰ ქალაქი, რომელსაც უყვარხარ, 15 აპრილი, 2010 (იხ:

http://www.financial.ge/Main_News/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/59240_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA_%E1%83%A3%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0/ (ბოლო განახლება 29 ოქტომბერი, 2012).

ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სააგენტოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს დაევალა.⁴¹ თუმცა, როგორც ჩანს, ამ სამსახურმა არ შეასრულა დადგენილებით დაკისრებული ვალდებულება და მთელი ამ პერიოდის მანძილზე სააგენტო რეგისტრაციის (ანუ სამართლებრივი საფუძვლის) გარეშე საქმიანობდა.

სააგენტოს წესდების თანახმად, ის შემდეგი მიზნებით შეიქმნა:

1. თბილისის აგლომერაციის ეკონომიკური განვითარება;
2. აგლომერაციის განვითარებაში ადგილობრივი ბიზნესისა და მაცხოვრებლების მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნა;
3. რესურსების მოზიდვა თბილისის აგლომერაციის განვითარებისათვის.⁴²

სააგენტოს წესდებით ასევე დადგინდა, რომ (ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა; (ბ) სესხის აღება; (გ) თავდებობა – მხოლოდ დამფუძნებლის, ანუ ქ. თბილისის მერიის, თანხმობით არის შესაძლებელი.⁴³ წესდების თანახმად, სააგენტოს ხელმძღვანელი პირი არის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ერთპიროვნულად ახორციელებს. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე და განუვალ საქმიანობაზე, წელიწადში ერთხელ ან მოთხოვნისამებრ, წარუდგენს მას ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.⁴⁴ საიამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია ქ.თბილისის მერიიდან და მოითხოვა მერიის მიერ დაარსებული ააიპ-ების (მათ შორის, ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“) მიერ ქ.თბილისის მერიისათვის წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები. თუმცა, მოთხოვნის ეს ნაწილი ქ. თბილისის მერიამ უპასუხოდ დატოვა და შესაბამისი ინფორმაცია არ მოგვანოდა.

⁴¹ ქ. თბილისის მთავრობა, დადგენილება #01.07.07, 12 ივნარი, 2009, მუხლი 5.

⁴² ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“ წესდება, მუხლი 2.

⁴³ ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“ წესდება, მუხლი 3, პუნქტი 3.

⁴⁴ ააიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“ წესდება, მუხლი 4, პუნქტი 4, ქვეპუნქტი 4.4.

სააგენტოს წესდების მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტოს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული, მისი საქმიანობისათვის საჭირო ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ნივთი, ფინანსური რესურსი და იურიდიული პირი. სააგენტოს ქონება შეიძლება მიღებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი გზით და გამოყენებულ იქნეს სააგენტოს მიზნების მისაღწევად.⁴⁵ საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სააგენტო არ არის უძრავი ნივთის მესაკუთრე და ის ასევე არ გვევლინება სხვა იურიდიული პირის დამფუძნებლად.

ბათუმი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიისა და საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე, შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).⁴⁶

ქ. ბათუმის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 17

⁴⁵ აიპ „თბილისის აგლომერაციის განვითარების სააგენტოს“ წესდება, მუხლი 7.

⁴⁶ განცხადებები #გ-04/330(13)-12 და #გ-04/330(8)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

ოქტომბერს გამოეხმაურა და მოგვანოდა ინფორმაცია მის მიერ დაფუძნებული 21 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ.⁴⁷ წერილის თანახმად, ეს პირები არიან: ააიპ „ბათუმის ყინულის სასახლე“; ააიპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“; ააიპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“; ააიპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“; ააიპ „ქ.ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“; ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“; ააიპ „ბათუმის განვითარების ფონდი“; ააიპ „ბათუმის სცენა“; ააიპ „ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“; ააიპ „ბათუმის კორპუსი“; ააიპ „ბათუმის სასაფლაოები“; ააიპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბაღის სკოლა - რვანლენი“; ააიპ „სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების - ქალაქ ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“; ააიპ „ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა - თერთმეტწლენი“; ააიპ „ქ. ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლა“; ააიპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“; ააიპ „ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა - ცხრანლენი“; ააიპ „შოთა ზამთარაძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ააიპ „ძმები ნობელის სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი“; ააიპ „6 მაისის პარკი“ და ააიპ „ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი“.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ ააიპ-ების დაფუძნება ხდებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. აქვე აღსანიშნავია, რომ საიას ერთ-ერთ კვლევაში – სახელწოდებით „რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა“ – განხილულ იქნა ააიპ „ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის“ (დღევანდელი ააიპ „ბათუმის განვითარების ფონდი“) საქმიანობა. მიმდინარე კვლევაში ყურადღება გავამახვილეთ 2 ააიპ-ზე, ესენია: ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ და ააიპ „ბათუმის კორპუსი“.

⁴⁷ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მაქსიმალური 10 დღინი ვადა.

2. ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“

2011 წლის 30 სექტემბერს ქ. ბათუმის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) დაფუძნების შესახებ. აღნიშნული განკარგულების თანახმად, განისაზღვრა სააგენტოს შემდეგი მიზნები:

- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების შემუშავება და დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ადგილობრივი რეგულარული გადაყვანის მარშრუტის დადგენისას, მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების გაჩერების ადგილის მონესრიგება, შესაბამისი საგზაო ნიშნით ან/და მონიშვნის ხაზით, მგზავრთა მოსაცდელელებით აღჭურვა და სხვა ინფრასტრუქტურის მონესრიგება;
- პარკირების ადგილების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;
- შუქნიშნების, ვიდეოკამერების და სხვა საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მონიშვნის ნიშნების სამუშაოების შესრულება;
- ელექტრონული საინფორმაციო დაფების განლაგების დაგეგმარება, განლაგება და მართვა;
- ქ. ბათუმის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ერთიანი პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების ერთიანი სისტემის მომზადება;
- საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულება, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა გადაწყვეტილებების აღსრულება და მერის სხვა დავალებების შესრულება.⁴⁸

⁴⁸ ქ. ბათუმის საკრებულო, განკარგულება #241, 30 სექტემბერი, 2011.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სააგენტო რეგისტრაციაში გაატარა 2012 წლის 13 იანვარს.⁴⁹ 2012 წლის 31 იანვარს კი ქ. ბათუმის საკრებულომ მიიღო განკარგულება და დაამტკიცა სააგენტოს წესდება.⁵⁰

სააგენტოს წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები და ფუნქციები. განკარგულებაში მოხსენიებულ მიზნებს რამდენიმე პუნქტი დაემატა, ესენია:

- პარკირების წესის დანერგვა, დაცვა და განვითარება;
- ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობა;
- ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა, საფასურის ოდენობაზე წინადადების შემუშავება, დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა და დამტკიცებული საფასურის ამოღების ორგანიზება.⁵¹

წესდების თანახმად, სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. ბათუმის საკრებულო. ასევე მნიშვნელოვანია სააგენტოს ქონებისა და ფინანსების საკითხები, რომელსაც წესდების მე-8 და მე-10 მუხლები არეგულირებს. მე-8 მუხლის თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, სააგენტოს აქვს გაცალკევებული ქონება, რომელიც გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააგენტოს ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე დაწესებულების ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შექმნილი ან/და შექმნილი ქონება.⁵² წესდების მე-10 მუხლის თანახმად კი, სააგენტოს დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

- თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

⁴⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B12004666/3, 13 იანვარი, 2012.

⁵⁰ ქ. ბათუმის საკრებულო, განკარგულება #17, 31 იანვარი, 2012.

⁵¹ ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ წესდება, მუხლი 3.

⁵² ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ წესდება, მუხლი 8.

- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი შემონირულობები, გრანტები;
- შემოსავლები, რომლებიც მიიღება სააგენტოს მიერ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის განეული მომსახურების შედეგად;
- დამხმარე სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁵³

ასევე, სააგენტოს წესდება ადგენს, რომ მისი ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დაწესებულების სახსრების სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

სააგენტოს საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებენ ქ. ბათუმის თვითმმართველობის ორგანოები, რაც მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სააგენტოს დირექტორის ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმის თვითმმართველობის ორგანოებისათვის განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას არანაკლებ წელიწადში ერთხელ. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მოწოდება. ქ. ბათუმის საკრებულომ მოგვანოდა სააგენტოს მიერ 2012 წლის 30 მაისს წარდგენილი საქმიანობის ანგარიში, რომელიც ასახავს მხოლოდ სააგენტოს საქმიანობის კონკრეტულ ასპექტებს და 15 პუნქტისაგან შედგება. თუმცა, ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული ხარჯთაღრიცხვა და ინფორმაცია ფინანსების განკარგვის თაობაზე.

3. ააიპ „ბათუმის კორპუსი“

2012 წლის 28 ივნისს თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამენარმეო იურიდი-

⁵³ ააიპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ წესდება, მუხლი 9.

იული პირის „ბათუმის კორპუსის“ (შემდგომში „კორპუსი“) დაფუძნების თაობაზე. აღნიშნული განკარგულებით ასევე განისაზღვრა კორპუსის შემდეგი ამოცანები და მიზნები:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის სასწავლო და სააგეიტაციო-განმარტებითი მუშაობის განხორციელება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისათვის პროგრამების შემუშავება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების განწევა როგორც უშუალოდ, ისე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების, მისი განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სხვა ღონისძიებების განხორციელება.⁵⁴

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ იგი რეგისტრაციაში გაატარა 2012 წლის 18 ივლისს.⁵⁵ 2012 წლის 27 ივლისს კი, ქ. ბათუმის საკრებულომ მიიღო განკარგულება და დაამტკიცა კორპუსის წესდება.⁵⁶

კორპუსის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი ძირითადი მიზნები და ფუნქციები, რომელიც იმეორებს ქ. ბათუმის საკრებულოს განკარგულებაში ჩამოთვლის მიზნებს. აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად მას შემდეგი უფლებამოვალეობები მიენიჭა:

- მოლაპარაკებების წარმოება და გარიგებების დადე-

⁵⁴ ქ. ბათუმის საკრებულო, განკარგულება #143, 28 ივნისი, 2012.

⁵⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B12004666/3, 13 იანვარი, 2012.

⁵⁶ ქ. ბათუმის საკრებულო, განკარგულება #195, 27 ივლისი, 2012.

ბა, აგრეთვე, სხვა იურიდიული ქმედებების განხორციელება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან; მათ შორის, ურთიერთობების დამყარება სხვა ქვეყნების იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება; ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შესაძლოა, მოხმარდეს მხოლოდ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მუშაკთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე, დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარება ქ.ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული სამტატო განრიგის შესაბამისად;
- შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული სარგოს ოდენობის შესაბამისად;
- დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრა ქ.ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით;
- საქმიანობის წარმართვა საქართველოს სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;
- შრომითი ურთიერთობების წარმართვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება.⁵⁷

წესდების თანახმად, კორპუსს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ.ბათუმის საკრებულო. ასევე მნიშვნელოვანია კორპუსის ქონებისა და ფინანსების საკითხები, რომელსაც წესდების მე-8 და მე-10 მუხლები არეგულირებს. მე-8 მუხლის თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრე-

⁵⁷ ააიპ „ბათუმის კორპუსის“ წესდება, მუხლი 4.

ბული ფუნქციების განსახორციელებლად კორპუსს აქვს განცალკევებული ქონება, რომელიც გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კორპუსის ქონებას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე დანესებულების ფუნქციონირების განმავლობაში მისი ფინანსური სახსრებით შექმნილი ან/და შექმნილი ქონება.⁵⁸ წესდების მე-10 მუხლის თანახმად კი, კორპუსის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

- თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი შემონირულობები, გრანტები;
- შემოსავლები, რომლებიც მიიღება სააგენტოს მიერ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის განეული მომსახურების შედეგად;
- დამხმარე სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁵⁹

ასევე კორპუსის წესდება ადგენს, რომ მისი ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს დანესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დანესებულების სახსრების სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

კორპუსის საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებენ ქ. ბათუმის თვითმმართველობის ორგანოები, რაც მოიცავს დანესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კორპუსის დირექტორის ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმის თვითმმართველობის ორგანოებისათვის განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას არანაკლებ წელიწადში ერთხელ. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას, ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მოწოდება. ქ. ბათუმის საკრებულოს არ მოუწოდებია კორპუსის მიერ მისთვის წარდგენილი

⁵⁸ ააიპ „ბათუმის კორპუსის“ წესდება, მუხლი 8.

⁵⁹ ააიპ „ბათუმის კორპუსის“ წესდება, მუხლი 9.

ანგარიში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კორპუსი 2012 წლის ივლისში დაფუძნდა, შესაძლებელია, ამგვარი ანგარიშის წარდგენა მათი საქმიანობიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ იგეგმება.

ზუგდიდი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე, შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).⁶⁰

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 23 ოქტომბერს გამოეხმაურა და მოგვანოდა ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ დაფუძნებული 16 არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ.⁶¹ წერილის თანახ-

⁶⁰ განცხადებები #გ-04/330(9)-12 და #გ-04/330(10)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

⁶¹ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მაქსიმალური 10 დღინი ვადა.

მად, ეს პირები არიან: ააიპ „მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი ოდიში“; ააიპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“; ააიპ „ცენტრალური ბიბლიოთეკა“; ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“; ააიპ „№1 სამუსიკო სკოლა“; ააიპ №2 „სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“; ააიპ „საგუნდო სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სკოლისგარეშე სააღმზრდელო სამხატვრო სკოლა“; ააიპ „სამხატვრო გალერეა“; ააიპ „სასაფლაოების მართვის ცენტრი“; ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“; ააიპ „ზუგდიდდასუფთავება“; ააიპ „ფეხბურთის განვითარების ცენტრი“; ააიპ „არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი „ჩნორია“; ააიპ „კეთილმონყოფის ცენტრი“.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ ააიპების დაფუძნება ხდებოდა სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. ჩვენს კვლევაში გავამახვილეთ ყურადღება 2 ააიპ-ზე, ესენია: ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“ და ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმონყოფის ცენტრი“.

2. ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“

2009 წლის 29 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მიიღო ბრძანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტის განვითარების ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) შექმნის შესახებ. აღნიშნული ბრძანების თანახმად, განხორციელდა ააიპ „კოპლექსური სასპორტო სკოლის“; ააიპ „საჭადრაკო სკოლა ნონას“; ააიპ „ყინულის მოედნის“ და ააიპ „სპორტული დარბაზის“ რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნა ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრი“. იმავე ბრძანებით, დამტკიცდა ცენტრის წესდება.⁶² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ცენტრი სახელმწიფო რეგისტრაციაში 2009 წლის 21 თებერვალს გაატარა.⁶³

⁶² ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბრძანება #40, 29 იანვარი 2009.

⁶³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B12022972/5, 29 თებერვალი, 2012.

ცენტრის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი ფუნქციები, კერძოდ:

- სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა სისტემურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება;
- სპორტის სახეობის სწავლა და პოპულარიზაცია;
- ქვეყნის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის მომავალი თაობის აღზრდა და მათი სპორტსმენებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მოზარდთა სასპორტო სკოლებზე, სპორტულ ობიექტებზე ზრუნვა.⁶⁴

წესდების თანახმად, ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი. იგი წარმოადგენს ცენტრს და ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ცენტრის საქმიანობის სწორად წარმართვაზე.⁶⁵

ასევე მნიშვნელოვანია ცენტრის ქონებისა და დაფინანსების საკითხი, რომელსაც წესდების მე-4 თავის 1-ლი მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ცენტრის ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ-მოძრავი ქონება, სპორტული ინვენტარი), რომელიც ცენტრს გადაეცემა დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.⁶⁶ ცენტრის დაფინანსების წყარო შესაძლებელია, იყოს:

- თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;

⁶⁴ აიპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ წესდება, თავი 2, მუხლი 1.

⁶⁵ აიპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ წესდება, თავი 3, მუხლი 1.

⁶⁶ აიპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ წესდება, თავი 4, მუხლი 1.

- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- გრანტები, ფიზიკური და იურიდიული პირის შემონირულობები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁶⁷

რაც შეეხება ცენტრის საქმიანობის კონტროლს, ყურადსაღებია დირექტორის ვალდებულება, ცენტრის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ააიპების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მონოდება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოგვანოდა „ცენტრის“ 2012 წლის (6 თვის) სპორტულ ღონისძიებათა ანგარიში და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა 57 სპორტულ ღონისძიებას. ამასთან, ცენტრის 6 თვის დაზუსტებული ხარჯების გეგმა შეადგენდა 668,577 ლარს, ხოლო ამავე პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 510,221 ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 76.3 პროცენტი.

3. ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“

2008 წლის 22 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მიიღო ბრძანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ (შემდგომში „კეთილმოწყობის ცენტრი“) შექმნის შესახებ. იმავე ბრძანებით დამტკიცდა კეთილმოწყობის ცენტრის წესდება.⁶⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კეთილმოწყობის ცენტრი სახელმწიფო რეგისტრაციაში 2009 წლის 23 იანვარს გაატარა.⁶⁹ 2012 წლის 15 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეცვალა კეთილ-

⁶⁷ ააიპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ წესდება, თავი 4, მუხლი 2.

⁶⁸ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბრძანება #967, 22 დეკემბერი, 2008.

⁶⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B12022972/5, 29 თებერვალი, 2012.

ონყობის ცენტრის წესდება და დაამტკიცა იგი ახალი რედაქციით.⁷⁰

კეთილმონყობის ცენტრის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი მიზანი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმონყობა.⁷¹ აღნიშნული მიზნის მისაღწევად კეთილმონყობის ცენტრს დაეკისრა სხვადასხვა სამუშაოს შესრულება, არსებული ქონების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, კერძოდ:

- გარე-განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია;
- სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რეაბილიტაცია;
- შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია;
- ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმონყობა და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალური ტერიტორიის გამწვანებისა და მისი მოვლითი სამუშაოების განხორციელება და ახალი ნარგავებით ჩანაცვლება;
- ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- პარკებისა და სკვერების კეთილმონყობა და რეაბილიტაცია;
- შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, გვირაბების და მიწისქვეშა გადასასვლელების, მდინარეთა ჯებირებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობების შეკეთებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;
- საგზაო ნიშნების და გზების დახაზვა;
- გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მონესრიგება, მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;
- ლიფტების შეკეთებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის

⁷⁰ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #51, 15 მარტი, 2012.

⁷¹ ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმონყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 2.

სტრუქტურებსა და სამსახურებთან კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება;

- დაქვემდებარებულ სფეროში დამკვეთის ფუნქციის განხორციელება; ზუგდიდის კაპიტალური შენობების, ავარიული შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქცია და გამაგრებითი სამუშაოების უზრუნველყოფა.⁷²

წესდების მე-4 მუხლით კი, განისაზღვრა კეთილმოწყობის ცენტრის ვალდებულებები:

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წესდებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ფუნქციების შესრულება;
- მასზე გაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე პასუხისმგებლობა;
- დადგენილი წესით საჭირო ინფორმაციის მიღება სხვადასხვა დანესებულებიდან, აგრეთვე, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;
- დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე სათანადო წინადადებებისა და დასკვნების მომზადება და მათი წარდგენა განსახილველად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებებისა და შუამდგომლობების მიღება იმ საკითხებზე, რომელთა აღსრულება შედის კეთილმოწყობის ცენტრის კომპეტენციაში, მათი განხილვა დადგენილ ვადებში და პასუხის გაცემა კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.⁷³

წესდების თანახმად, კეთილმოწყობის ცენტრის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც გამგებლის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზუგდიდის მუნიცი-

⁷² ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 3.

⁷³ ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 4.

პალიტიკის საკრებულოს თავმჯდომარე.⁷⁴

ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია კეთილმოწყობის ცენტრის ქონებისა და დაფინანსების საკითხი, რომელსაც წესდების მე-6 და მე-7 მუხლები არეგულირებს. წესდების მე-6 მუხლის თანახმად, კეთილმოწყობის ცენტრის ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ-მოძრავი ქონება), რომელიც ცენტრს გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. წესდების მე-7 მუხლის თანახმად, კეთილმოწყობის ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- სუბსიდიები;
- ფასიანი მომსახურებიდან მიღებული სახსრები;
- სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁷⁵

აღნიშნული სახსრები შესაძლოა მოხმარდეს მხოლოდ კეთილმოწყობის ცენტრის ფუნქციების განხორციელებას. დაუშვებელია სახსრების სხვა მიზნით გამოყენება.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია კეთილმოწყობის ცენტრის საქმიანობის კონტროლი. წესდების მე-9 მუხლის თანახმად, კეთილმოწყობის ცენტრი ვალდებულია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას წარუდგინოს წლის განუყოფი სამუშაოების შესახებ ანგარიში და დაფინანსო საქმიანობის შემონგების შესახებ აუდიტორული დასკვნა

⁷⁴ აიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 6.

⁷⁵ აიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 7.

კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (აუდიტორის შერჩევას ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი).⁷⁶ საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მონოღება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოგვანოდა კეთილმოწყობის ცენტრის 2012 წლის (6 თვის) საქმიანობის ანგარიში და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგენილია 2012 წლის 9 ივლისს. ანგარიშის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში ცენტრმა შეასრულა სხვადასხვა სახის სამუშაო და საქმიანობის ფარგლებში დადო 62 ხელშეკრულება. ამასთან, ცენტრის 6 თვის დაზუსტებული ხარჯების გეგმა შეადგენდა 977,000 ლარს, ხოლო ამავე პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 485,200 ლარი, მათ შორის, ბიუჯეტიდან – 465,000 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან – 20,000 ლარი.

ქუთაისი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა ქ.ქუთაისის მერიისა და ქ.ქუთაისის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმი-

⁷⁶ ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 9.

ანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).⁷⁷

ქ. ქუთაისის მერია საიას განცხადებას 2012 წლის 17 ოქტომბერს გამოეხმაურა⁷⁸ და მოგვანოდა ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული 8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ, ესენია: ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“; ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“; ააიპ „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ყინულის მოედანი“; ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“; ააიპ „ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“; ააიპ „ქუთაისის მერიის აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელი“ და ააიპ „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“.⁷⁹

ქ. თბილისის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 15 ოქტომბერს გამოეხმაურა⁸⁰ და მოგვანოდა ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული 5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ. წერილის თანახმად, ეს პირები არიან: ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“; ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“; ააიპ „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ყინულის მოედანი“ და ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“. აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს მიერ მოწოდებულ ააიპ-ების სიაში 4 სუბიექტი ერთმანეთს ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე აღნიშნული სუბიექტის წერ-

⁷⁷ განცხადებები #გ-04/330(11)-12 და #გ-04/330(12)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

⁷⁸ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მასიმალური 10 დღინი ვადა.

⁷⁹ ქ. ქუთაისის მერია, წერილი #01/7013 და დანართი, 17 ოქტომბერი, 2012.

⁸⁰ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მასიმალური 10 დღინი ვადა.

ილის თანახმად, მათ მოგვანოდეს მხოლოდ თავისივე დაფუძნებული ააიპ-ების სია.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ქ. ქუთაისში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ააიპ-ების დაფუძნება ხდებოდა არა ინფრასტრუქტურული პროექტების, არამედ სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი უფრო შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. ჩვენს კვლევაში გავამახვილეთ ყურადღება 2 ააიპზე, ესენია: ააიპ „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ყინულის მოედანი“ და ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“.

2. ააიპ „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ყინულის მოედანი“

2011 წლის 25 მაისს ქ. ქუთაისის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ყინულის მოედნის“ (შემდგომში „ყინულის მოედანი“) დაფუძნების თაობაზე. იმავე განკარგულებით, დამტკიცდა ყინულის მოედნის წესდება და ქუთაისის მერს დაევალა მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – დირექტორის დანიშვნა.⁸¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ყინულის მოედანი რეგისტრაციაში გაატარა 2011 წლის 31 აგვისტოს.⁸²

ყინულის მოედნის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები და საქმიანობის ფორმები, კერძოდ:

- ქ. ქუთაისში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა ყინულზე ფიგურულ სრიალში;
- ბავშვთა და მოზარდთა მეთოდური აღზრდა და დაოსტატება პროფილის შესაბამისად, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში;

⁸¹ ქ. ქუთაისის საკრებულო, განკარგულება #154, 25 მაისი, 2011.

⁸² საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება # B11126430/3, 31 აგვისტო, 2011.

- ყინულზე ფიგურულ სრიალში პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა.⁸³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისის საკრებულოს მიერ მიღებულ შესაბამის განკარგულებაში არ არის მითითებული რაიმე დასაბუთება, თუ რატომ გახდა საჭირო ყინულის მოედნის დაარსება დამოუკიდებელი ააიპ-ის ფორმით. მით უფრო, რომ მის დაარსებამდე რამდენიმე თვით ადრე საკრებულოს მიერ ქუთაისში დაფუძნდა ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“, რომელიც ყველა სხვა დანარჩენ სპორტულ მიმდინარეობას აერთიანებს.

წესდების თანახმად, ყინულის მოედანს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. ქუთაისის საკრებულო ან მისი დელეგირებით – ქალაქის მერი.⁸⁴

ასევე მნიშვნელოვანია ყინულის მოედნისთვის ქონების გადაცემისა და მისი მართვის საკითხები, რომელსაც წესდების მე-7 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყინულის მოედნის საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ბიუჯეტიდან. მისი დაფინანსების წყაროებია:

- ადგილობრივი ბიუჯეტი;
- შემოწირულობები;
- სახელმწიფო გრანტები, სუბსიდიები და სხვა კანონიერი წყაროები;
- ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
- კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁸⁵

⁸³ ააიპ „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ყინულის მოედნის“ წესდება, მუხლი 2.

⁸⁴ ააიპ „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ყინულის მოედნის“ წესდება, მუხლი 6, პუნქტი 2.

⁸⁵ ააიპ „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ყინულის მოედნის“ წესდება, მუხლი 7, პუნქტი 3.

ყინულის მოედნის წესდების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ყინულის მოედანი“ ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საბუღალტრო ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერს. შესაბამისად, „ყინულის მოედანი“ ანგარიშვალდებული გახლავთ ქუთაისის მერის წინაშე და ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი ანგარიშები. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ქ. ქუთაისის მე-რიისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის ანგარიშების მონოდება. როგორც წესდებიდან ჩანს, ყინულის მოედანს ევალებოდა ამგვარი ანგარიშის წარდგენა. მიუხედავად ამისა, ქ. ქუთაისის მერიასა და საკრებულოს არ მოუწოდებიათ ეს ანგარიში, რაც საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, მოხდა თუ არა საერთოდ ამგვარი ანგარიშის წარდგენა.

3. ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“

2007 წლის 5 სექტემბერს ქ. ქუთაისის მერმა მიიღო ბრძანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ (შემდგომში „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“) დაფუძნების თაობაზე. იმავე ბრძანებით დამტკიცდა მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წესდება.⁸⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი რეგისტრაციაში გაატარა 2007 წლის 21 სექტემბერს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წესდების მე-3 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის ფორმები. აღნიშნული მუხლის თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი არის სკოლისგარეშე დაწესებულება, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას, სრულფასოვან დასვენებას და გაჯანსაღებას, ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი მუშაობს სასკოლო ასაკის მოსწავლე-

⁸⁶ ქ. ქუთაისის მერი, ბრძანება #1309, 5 სექტემბერი, 2007.

ბთან და დამოუკიდებლად შეიმუშავებს პროგრამებს მოსწავლეთა სურვილის, მშობელთა, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების მოთხოვნების და ეროვნულ-კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროგრამათა შესატყვისად დაწესებულებაში იქმნება სხვადასხვა სახის სექციები და წრეები. ამასთანავე, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი ორგანიზაციას უკეთებს და ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას, ქმნის მოსწავლეებისა და მშობლებისათვის ერთობლივი დასვენების ხელსაყრელ პირობებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი ფლობს ხელოვნურსაფარიან მინიმოედანს, სადაც წლის ნებისმიერ დროს ადმინისტრაცია აწყობს ფეხბურთის, ბალახის ჰოკეისა და სხვა სპორტული თამაშების ტურნირებს. იგი საქმიანობას წარმართავს კალენდარული წლის მანძილზე, ხოლო სადღესასწაულო და გამოსასვლელ დღეებში ააქტიურებს თავის საქმიანობას. არდადეგების პერიოდში მას შეუძლია გახსნა პროფილური ბანაკები.⁸⁷

წესდების მე-4 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქის მერი, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორს შემდეგი უფლებამოსილებები და ფუნქციები მიენიჭა:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საქმიანობის წარმართვა და ორგანიზება, საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებლობა;
- თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ბრძანებებისა და განკარგულებების გამოცემა;
- ქ. ქუთაისის მერის მიერ განსაზღვრული სამტატო განრიგის შესაბამისად, არსებული კანონმდებლობის დაცვით, თანამშრომლების სამსახურში მიღება და გათავისუფლება. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით, დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან საჭიროებისამებრ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება;

⁸⁷ აიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წესდება, მუხლი 3.

- მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წარმოდგენა ყველა ინსტანციაში მინდობილობის გარეშე, მინდობილობების გაცემა, გარიგებების დადება;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ქონებისა და სახსრების კანონით დადგენილი წესით განკარგვა, პარკის საკუთრებაში არსებულ ქონებასა და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე პასუხისმგებლობა;
- თანამშრომლებისაგან, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და მათი მშობლებისაგან კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანანწესით განსაზღვრული წესების დაცვის მოთხოვნის უფლებამოსილება;
- კანონმდებლობის შესაბამისად, შინაგანანწესისა და მშობელთა მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი დამატებითი მომსახურების ნუსხის დამტკიცება;
- არასაბიუჯეტო შემოსავლების არსებობის შემთხვევაში, სახსრების სახელფასო დანამატებზე, პრემიებსა და ჯილდოებზე გამოყენება;
- ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტის წარდგენა;
- ქ. ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურისათვის პარკში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ყოველკვარტალურად მიწოდება;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით, ქ. ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურებთან მჭიდროდ თანამშრომლობა;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ბალანსის შედგენა და ქუთაისის მერიისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- მოქმედი კანონმდებლობითა და დადგენილი წესით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.⁸⁸

⁸⁸ ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წესდება, მუხლი 4.

ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკისათვის ქონების გადაცემისა და მისი მართვის საკითხები, რომელსაც წესდების მე-5 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ქონება არის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ იგი ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას და საქველმოქმედო მიზნებს. წესდების თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დაფინანსების წყაროებია:

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა;
- მშობლების წილობრივი შემონატანი, რომლის მინიმუმიც განისაზღვრება შინაგანანესით;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკს უფლება აქვს, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, თუ იგი არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე, მიღებული მოგება, კანონმდებლობის შესაბამისად, ხმარდება პარკის მიზნების რეალიზებას.⁸⁹

წესდების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წლიურ ბალანსს ამოწმებს ქ. ქუთაისის მერიის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტი.⁹⁰ ამასთან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორს ევალება საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ბალანსის შედგენა და ქუთაისის მერიისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშგების მოწოდება. როგორც წესდებიდან ჩანს, მერიას უნდა მიეღო, ერთი მხრივ, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორის მიერ მიწოდებული ბალანსი, ხოლო, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა. მიუხედავად ამისა, ქ. ქუთაისის მერიასა და საკრე-

⁸⁹ ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წესდება, მუხლი 5, პუნქტი 3.

⁹⁰ ააიპ „ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის“ წესდება, მუხლი 5, პუნქტი 5.

ბულოს არ მოუწოდებიათ მათთვის წარსადგენი ანგარიში, რაც საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, მოხდა თუ არა ამგვარი ანგარიშის წარდგენა.

გორი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).⁹¹

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 15 ოქტომბერს გამოეხმაურა და მოგვანოდა ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ დაფუძნებული 69 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ.⁹² ნერილის თანახმად

⁹¹ განცხადებები #გ-04/330-12 და #გ-04/330(1)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

⁹² შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მაქსიმალური 10 დღინი ვადა.

მად, ეს პირები არიან: ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“; ააიპ „მ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა“; ააიპ „გ. პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა“; ააიპ „კრივის სპეციალიზირებული სპორტული სკოლა“; ააიპ „ტურიზმის ცენტრი „თონთიო“; ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“; ააიპ „საცურაო აუზი“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკა“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“; ააიპ „ატენის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „ხიდისთავის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „ტყვიავის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „ტირძნისის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სკრის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღი“; ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის მწერალთა სახლი“; ასევე გორის მუნიციპალიტეტში არსებული 49 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც რეგისტრირებულია ააიპ-ის ფორმით.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ ააიპ-ების დაფუძნება ხდებოდა სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. ჩვენს კვლევაში გავამახვილეთ ყურადღება 2 ააიპ-ზე, ესენია: ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“ და ააიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღი“.

2. ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“

2011 წლის 14 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის

საფეხბურთო კლუბი „დილას“ (შემდგომში „საფეხბურთო კლუბი“) დაფუძნების შესახებ. აღნიშნული განკარგულების თანახმად, განხორციელდა ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის გურამ გაბუნias სახელობის საფეხბურთო კომპლექსური სპორტული სკოლისა“ და ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის „თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის“ რეორგანიზაცია და სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნა ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილა“. იმავე განკარგულებით, დამტკიცდა საფეხბურთო კლუბის წესდება.⁹³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საფეხბურთო კლუბი სახელმწიფო რეგისტრაციაში 2011 წლის 11 თებერვალს გაატარა.⁹⁴

საფეხბურთო კლუბის წესდების მე-3 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები და ამოცანები, კერძოდ:

- ფეხბურთის პოპულარიზაცია;
- საკლუბო ფეხბურთის განვითარება, ევრო ტურნირებში მონაწილეობის მიღება;
- ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებებისთვის ფეხბურთელების მიწოდება;
- ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება აღსაზრდელებში;
- ფიზიკურ პირთა სპორტულ გამაჯანსაღებელი მომსახურება და მათი ფიზიკური მომზადება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება;
- ცენტრში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით, ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლი-

⁹³ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #3, 14 იანვარი, 2011.

⁹⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B11022409/5, 11 თებერვალი, 2011.

ური სანვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

- ინტელექტუალური და სპორტული ღონის ამალგა ალსაზრდელებში;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სათამაშო სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.⁹⁵

წესდების მე-6 მუხლის თანახმად, საფეხბურთო კლუბს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი.⁹⁶

ასევე მნიშვნელოვანია საფეხბურთო კლუბის ქონების საკითხი, რომელსაც წესდების მე-8 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საფეხბურთო კლუბს შეიძლება, საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება, რაც მას ესაჭიროება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. საფეხბურთო კლუბის ქონება იქმნება სანევრო შენატანების, ნევრთა და სხვა პირთა შემონირულობების, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლებისგან.⁹⁷

რაც შეეხება საფეხბურთო კლუბის საქმიანობის კონტროლს, აღსანიშნავია, რომ წესდება არ ითვალისწინებს მისი საქმიანობის კონკრეტულ მექანიზმებს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბს არ ევალება საქმიანობის ანგარიშის წარდგენა თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

3. ააიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბალი“

2010 წლის 25 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ააიპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის ახალბალის“ (შემდგომში

⁹⁵ ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილას“ წესდება, მუხლი 3.

⁹⁶ ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილას“ წესდება, მუხლი 6.

⁹⁷ ააიპ „თ. ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „დილას“ წესდება, მუხლი 8.

„პარკი“) დაფუძნების შესახებ. იმავე განკარგულებით დამტკიცდა პარკის წესდება.⁹⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ პარკი სახელმწიფო რეგისტრაციაში 2010 წლის 29 ივლისს გაათარა.⁹⁹

პარკის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები და ამოცანები, კერძოდ:

- ინტელექტუალური, კულტურული და სპორტული დონის ამაღლება მოსახლეობაში;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მომზადება და ჩატარება;
- პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან;
- ქონების ფლობა, შექმნა და განკარგვა;
- მოსარჩელედ ან მოპასუხედ გამოსვლა სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიცინო სასამართლოში.¹⁰⁰

წესდების მე-5 მუხლის თანახმად, პარკს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი.¹⁰¹

ასევე მნიშვნელოვანია პარკის ქონების საკითხი, რომელსაც წესდების მე-6 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პარკს შეიძლება, საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება, რაც მას ესაჭიროება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. პარკის ქონება იქმნება სანევერო შენატანების, ნევერთა და სხვა პირთა შემონირულობების, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლებისგან. ხოლო მისი გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება პარკის საქმიანობას, ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი ამოცანების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.¹⁰²

⁹⁸ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #49, 25 ივნისი, 2010.

⁹⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B10090608/3, 29 ივლისი, 2010.

¹⁰⁰ აიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღის“ წესდება, მუხლი 2.

¹⁰¹ აიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღის“ წესდება, მუხლი 5.

¹⁰² აიპ „კულტურისა და დასვენების პარკი ახალბაღის“ წესდება, მუხლი 6.

რაც შეეხება პარკის საქმიანობის კონტროლს, აღსანიშნავია, რომ წესდება არ ითვალისწინებს მისი საქმიანობის კონკრეტულ მექანიზმებს. მაგალითად, პარკს არ ევალება საქმიანობის ანგარიშის წარდგენა თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

რუსთავი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიისა და საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;
2. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).¹⁰³

ქ. რუსთავის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 17 ოქტომბერს გამოეხმაურა და მოგვანოდა ინფორმაცია მის მიერ დაფუძნებული 18 არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ.¹⁰⁴ ეს პირები არიან: ააიპ „რუსთავის კორპუსი“; ააიპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბა-

¹⁰³ განცხადებები #გ-04/330(4)-12 და #გ-04/330(5)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

¹⁰⁴ შესაბამისად, დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მაქსიმალური 10 დღინი ვადა.

გა-ბალების გაერთიანება”; ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება”; ააიპ „უზრუნველყოფა”; ააიპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა”; ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარების”; ააიპ „რუსთავის მოხუცებულთა სახლი”; ააიპ „რუსთავის თეატრი”; ააიპ „რევაზ ლალიძის სახელობის 13 სამუსიკო სკოლის”; ააიპ „ჯანსუღ კახიძის სახელობის 14 სამუსიკო სკოლის”; ააიპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა”; ააიპ „ფოლკლორის სკოლა”; ააიპ „ნიკო ფიროსმანის სახელობის სამხატვრო სკოლა”; ააიპ „კულტურის ცენტრი”; ააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი”; ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი”; ააიპ „ახალგაზრდული ცენტრი”; ააიპ „რუსთავის ახალგაზრდობის ცენტრი”.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ ააიპ-ების დაფუძნება ხდებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. მიმდინარე კვლევაში გავამახვილეთ ყურადღება 2 ააიპ-ზე, ესენია: ააიპ „უზრუნველყოფა” და ააიპ „ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება”.

2. ააიპ „უზრუნველყოფა”

2011 წლის 18 აპრილს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „უზრუნველყოფის” (შემდგომში „უზრუნველყოფა”) დაფუძნების თაობაზე. იმავე განკარგულებით დამტკიცდა „უზრუნველყოფის” წესდება და საკრებულოს თავმჯდომარეს დაევალა მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – დირექტორის დანიშვნა.¹⁰⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „უზრუნველყოფა” რეგისტრაციამოგაატარა 2011 წლის 19 მაისს.¹⁰⁶

¹⁰⁵ ქ. რუსთავის საკრებულო, განკარგულება #288, 18 აპრილი, 2011.

¹⁰⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B11073436/3, 19 მაისი, 2011.

„უზრუნველყოფის“ წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი შექმნის მიზნები, კერძოდ:

- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალური ქონების (მინა, ტყე, სხვა მწვანე საფარი, წყალი და სხვა) (შემდგომში – ადგილობრივი ქონება) მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი საკუთრების ობიექტების განვითარების (უკეთ დატვირთვა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა) პერსპექტივების დასახვა, შესაბამისი პროგრამების მომზადება და განხორციელების გზების მოძიება;
- ადგილობრივი ქონების სამართლებრივი დამაგრების და რეგულირების მოწესრიგება.¹⁰⁷

წესდებით ასევე განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობები, კერძოდ:

- კანონით და წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობის, აგრეთვე კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება;
- ადგილობრივი ქონების მოვლა-პატრონობის და შენახვისთვის საჭირო უფლებამოსილებების კონკრეტიზაცია, ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების გადანაწილება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, პროექტის სახით მათი ჩამოყალიბება საკრებულოში დასამტკიცებლად წარსადგენად;
- ადგილობრივი ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია;
- საკრებულოს მიერ მიღებული ქონების მოვლა-პატრონობის წესების აღსრულება;
- ადგილობრივი ქონების ობიექტების პერსპექტიული განვითარების (უკეთ დატვირთვა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა, დატვირთვის არეალის გაფართოება და სხვა) პროგრამების მომზადება, მათი არგუმენტირება და დასამტკიცებლად საკრებულოში წარდგენა;
- საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამების აღსრულება;

¹⁰⁷ ააიპ „უზრუნველყოფის“ წესდება, მუხლი 2.

- ადგილობრივი ქონების განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო საქმიანობის მუდმივ რეჟიმში წარმოება;
- ადგილობრივი ქონების სამართლებრივი უზრუნველყოფის დოკუმენტაციის (საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები, სხვა) შესწავლა, მოძიება, მათი შესაბამისი მოქმედებების განხორციელება. ადგილობრივ აქტებში საჭირო ცვლილებების, დამატებების შეტანის ან/და გაუქმებისათვის ან ახალი აქტების მისაღებად საჭირო წინადადებების, პროექტების მომზადება და დადგენილი წესით განსახილველად წარდგენა;
- საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიების კონკრეტული დავალებების შესრულება;
- დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა ხმარდებოდეს ააიპ-ის მიზნების რეალიზებას;
- ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაციის აქტის შედგენის, მისი ცვლილება-დამატებების შეტანასთან დაკავშირებით წინადადებების, პროექტების მომზადება საკრებულოში წარსადგენად ყოველი წლის ბოლოს ან/და საჭიროებისას;
- ადგილობრივი ქონების ობიექტების მოვლა-პატრონობისათვის დადგენილი წესების სრულად და ზუსტად აღსრულება. მათი აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების თაობაზე საკრებულოს დაუყოვნებლად ინფორმირება;
- ადგილობრივ ქონებასთან მიმართებით დავის წარმოქმნის ფაქტზე გადაუდებელი რეაგირება და საკრებულოს ინფორმირება.¹⁰⁸

წესდების თანახმად, „უზრუნველყოფას“ ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე.¹⁰⁹

¹⁰⁸ ააიპ „უზრუნველყოფის“ წესდება, მუხლი 3, 4.

¹⁰⁹ ააიპ „უზრუნველყოფის“ წესდება, მუხლი 5.

ასევე მნიშვნელოვანია მისი ქონებისა და ფინანსების საკითხი, რომელსაც წესდების მე-6 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მის ეკონომიკურ საფუძველს ქმნის მისი ქონება და ფინანსები, რომელთა მოპოვება მას შეუძლია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წყაროებია:

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება;
- საქველმოქმედო და მიზნობრივი ნებაყოფლობითი შენატანები (შემონირულობა);
- საკუთარი სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

„უზრუნველყოფის“ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ქ. რუსთავის საკრებულო. ამ მიზნით, საკრებულო უფლებამოსილია, მისგან მოითხოვოს ყველა საჭირო ფინანსური, ეკონომიკური თუ სხვა დოკუმენტაცია და ინფორმაცია.¹¹⁰ თავის მხრივ, „უზრუნველყოფა“ ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და სათანადო წერილობითი ინფორმაცია ამის შესახებ წარადგინოს საკრებულოში.¹¹¹ საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ქ.რუსთავის მერიისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მონოდება. რუსთავის საკრებულომ მოგვანოდა „უზრუნველყოფის“ მიერ 2012 წლის I და II კვარტალში წარდგენილი ანგარიშები. როგორც აღნიშნული ანგარიშებიდან ირკვევა, 2012 წლის I კვარტალში „უზრუნველყოფის“ გეგმიური ხარჯი გახლდათ 77,737 ლარი, რომელიც მას სრულად უნდა მიეღო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. „უზრუნველყოფამ“ ფაქტობრივად მიიღო 77,717 ლარი და დახარჯა 77,662.87 ლარი (ნაშთი 54.13 ლარი). აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი – 67,435 ლარი – გაიცა თანამშრომელთა ხელფასების სახით. 2012 წლის II კვარტალში „უზრუნველყოფის“ გეგმიური ხარჯი გახლდათ 95.513 ლარი, რომელიც მას სრულად უნდა მიეღო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. „უზრუნველყოფამ“ ფაქტობრივად მიიღო 92.998 ლარი და დახარჯა 92363.18 ლარი

¹¹⁰ ააიპ „უზრუნველყოფის“ წესდება, მუხლი 8.

¹¹¹ ააიპ „უზრუნველყოფის“ წესდება, მუხლი 9.

(ნაშთი 688.95 ლარი). 11 კვარტალშიც აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი – 79,935 ლარი – გაიცა თანამშრომელთა ხელფასების სახით.

3. ააიპ „ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება“

2011 წლის 8 იანვარს თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“ (შემდგომში „გაერთიანება“) დაფუძნების თაობაზე. იმავე განკარგულებით, დამტკიცდა გაერთიანების წესდება.¹¹² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გაერთიანება რეგისტრაციაში გაატარა 2011 წლის 19 მაისს.¹¹³

გაერთიანების წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი შექმნის მიზნები, კერძოდ:

- ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ფილიალების პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება;
- რუსთავის ნაკრები გუნდებისათვის მაღალი კლასის სპორტული რეზერვების შერჩევა და მათი მომზადება თანამედროვე სტანდარტების დონეზე;
- მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მწვრთნელთა მომზადება;
- ქვეყნის ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდების ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენებით შევსება;
- გაერთიანების სპორტსმენებისათვის, ქალაქის და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის, შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური და თანამედროვე საწვრთნელი ბაზის შექმნა;

¹¹² ქ. რუსთავის საკრებულო, განკარგულება #223, 8 იანვარი, 2011.

¹¹³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება #B11008640/3, 20 იანვარი, 2011.

- გაერთიანების მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) თანამედროვე სტანდარტების დონეზე სასწავლო-სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენტა წვრთნისა და სოციალური პირობების (კვება, სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, სამედიცინო კონტროლი) შექმნა;
- გაერთიანების სპორტსმენებისა და მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის ერთიანი სპორტული ფორმის შექმნა, სპორტული ინვენტარით მომარაგება;
- გაერთიანების ნაკრები გუნდებისთვის სასწავლო-საწვრთნელო შეკრების ჩატარება და სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა;
- გაერთიანების სპორტსმენტა და მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის გადასაადგილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;
- გაერთიანებაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირების მიზნით მათი მივლინება საზღვარგარეთ;
- სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების, სახელობითი ტურნირების ჩატარება და ორგანიზება.¹¹⁴

წესდებით ასევე განისაზღვრა გაერთიანების უფლება-მოვალეობები, კერძოდ:

- ხელშეკრულებების დადება;
- სხვადასხვა საერთაშორისო და საქველმოქმედო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა;
- დაფინანსების დამატებითი საშუალებების მოძიება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
- საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებების განხორციელება;
- მოქმედი კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება;
- მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სწავლებისა და ვარჯიშისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა;

¹¹⁴ ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“ წესდება, მუხლი 2.

- თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.¹¹⁵

წესდების თანახმად, გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე.

ასევე მნიშვნელოვანია გაერთიანების ქონებისა და ფინანსების საკითხი, რომელსაც წესდების მე-9 და მე-10 მუხლები არეგულირებენ. წესდების მე-9 მუხლის თანახმად, გაერთიანების მთელი ქონება წარმოადგენს მისი დამფუძნებლის – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებას. გაერთიანების ფინანსური სახსრებია:

- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
- კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- გრანტები და ქველმოქმედებიდან მიღებული შემოსავლები;
- სხვადასხვა ორგანიზაციიდან, ფირმიებიდან, დანესებულებებიდან და ინდივიდუალური პირების მიერ შეტანილი თანხები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

წესდება ასევე ადგენს, რომ გაერთიანება დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს მოახმარს მხოლოდ სკოლის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება გაერთიანების დამფუძნებელს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირებს შორის დაუშვებელია.¹¹⁶

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია გაერთიანების საქმიანობის კონტროლი. წესდების მე-11 მუხლის თანახმად, გაერ-

¹¹⁵ ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“ წესდება, მუხლი 3, 4.

¹¹⁶ ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“ წესდება, მუხლი 10.

თიანების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას, ეფექტიანობასა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო.¹¹⁷ საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ქ.რუსთავის მერიისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის ანგარიშების მოწოდება. რუსთავის საკრებულომ მოგვანოდა გაერთიანების მიერ 2012 წლის I და II კვარტალში წარდგენილი ანგარიშები, საიდანაც ირკვევა, რომ 2012 წლის I კვარტალში გაერთიანების გეგმიური ხარჯი გახლდათ 274,646 ლარი, რომლისგანაც 238,333.50 ლარი უნდა მიეღო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო 36,312.50 ლარი – სხვა შემოსავლებიდან და შემოსულობებიდან. გაერთიანებამ ფაქტობრივად მიიღო 239,308 ლარი და სრულად დახარჯა აღნიშნული თანხა, საიდანაც ძირითადი ნაწილი გაიცა თანამშრომელთა ხელფასების (113,893.7 ლარი) და მივლინებების ანაზღაურების (37.645 ლარი) სახით. 2012 წლის II კვარტალში გაერთიანების გეგმიური ხარჯი გახლდათ 289,228.50 ლარი, რომელიც მას სრულად უნდა მიეღო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გაერთიანებამ ფაქტობრივად მიიღო 270,230 ლარი, რომელიც სრულად დახარჯა. II კვარტალშიც აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი გაიცა თანამშრომელთა ხელფასების (119,166.75 ლარი) და მივლინებების ანაზღაურების (63,601 ლარი) სახით.

თელავი

1. შესავალი

2012 წლის 27 სექტემბერს საიამ განცხადებით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. რამდენი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აქვთ დაფუძნებული აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს;

¹¹⁷ ააიპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“ წესდება, მუხლი 11.

2. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სია, ასევე შემდეგი მონაცემები: ხელმძღვანელის ვინაობა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდება და მასში შესული ცვლილებები;
4. მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშები (თუ მათ ევალებათ ამგვარი ანგარიშების წარმოდგენა).¹¹⁸

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა საიას განცხადებას 2012 წლის 5 ოქტომბერს გამოეხმაურა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად გვაცნობა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები არ დაფუძნებულა.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო საიას განცხადებას 2012 წლის 5 ოქტომბერს გამოეხმაურა და მოგვანოდა ინფორმაცია მის მიერ დაფუძნებული 21 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ. წერილის თანახმად, ეს პირები არიან: ააიპ „უმწეოთა და უპოვართა სამსახური“; ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“; ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასამართლო წყლის საკონტროლო ლაბორატორია“; ააიპ „თელავის სასპორტო გაერთიანება“; ააიპ „თელავის №1 ბაგა-ბალი“; ააიპ „თელავის №3 ბაგა-ბალი“; ააიპ „თელავის №5 ბაგა-ბალი“; ააიპ „თელავის №8 ბაგა-ბალი“; ააიპ „თელავის №5 საბავშვო ბაღი“; ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დანესებულება - თელავის №1 სამუსიკო სკოლა“; ააიპ „თელავის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“; ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დანესებულება - თელავის №2 სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დანესებულება - წინანდლის სამუსიკო სკოლა“; ააიპ

¹¹⁸ განცხადებები #გ-04/330(2)-12 და #გ-04/330(3)-12 საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, 27 სექტემბერი, 2012.

„სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - აკურის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - რუისპირის სამუსიკო სკოლა“; ააიპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ააიპ „სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“; ააიპ „თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“; ააიპ „თელავის კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“; ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“; ააიპ „თელავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“.

როგორც მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ააიპ-ების დაფუძნება ხდებოდა არა ინფრასტრუქტურული პროექტების, არამედ სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, მათი საქმიანობის არეალი უფრო შეზღუდული და კონკრეტულ მიმართულებაზე ორიენტირებული გახლავთ. ჩვენს კვლევაში გავამახვილეთ ყურადღება 2 ააიპ-ზე, ესენია: ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ და ააიპ „თელავის სასპორტო გაერთიანება“.

2. ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“

2010 წლის 16 ნოემბერს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეცნიერმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) დაფუძნების თაობაზე. იმავე განკარგულებით, დამტკიცდა ცენტრის წესდება.¹¹⁹ თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ცენტრი უფრო ადრე – 2008 წლის 24 იანვარს დაარეგისტრირა.¹²⁰ შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ

¹¹⁹ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #86, 16 ნოემბერი 2010.

¹²⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გადაწყვეტილება # B11126430/3, 31 აგვისტო, 2011.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწოდებული წესდება არის არა თავდაპირველი ვერსია, არამედ მისი შეცვლილი ვარიანტი, რომელიც საკრებულოს მიერ 2010 წლის 16 ნოემბერს იქნა დამტკიცებული.

ცენტრის წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა მისი ფუნქციები, კერძოდ:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადების აღმოცენების მიზეზთა, რისკ-ფაქტორთა დადგენა;
- სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლევადიანი პროგნოზირება;
- მოსახლეობის ეპიდკეთილსაიმედო მდგომარეობის შექმნის ხელშეწყობა, გარემოს პროფილერ ფაქტორთა მონიტორინგი;
- გადამდები და არაგადამდები დაავადებების მონიტორინგი, ეპიდკონტროლის განხორციელება, მათი აღმოცენების გავრცელების შეზღუდვა, სათანადო ეპიდსაინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარება;
- სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის მონიტორირება და განხორციელების ხელშეწყობა;
- პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულების ორგანიზაცია და მონიტორინგი;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის, მავნე ჩვევათა და საერთო ქცევითი დამოკიდებულების კორექცია ჯანსაღ უნარ-ჩვევათა განვითარების ფორმირებისა და დამკვიდრების მიზნით. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით და სხვა სპეციფიკური ღონისძიებებით ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაცია-წარმართვა;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; შესაბამისად, პროგრამულ ღონისძიებათა პროექტირება, ორგანიზება, განხორციელების ხელშეწყობა;

- ჯანდაცვითი და სხვა სოციალური მუნიციპალური პროგრამების პროექტების შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა;
- მოსახლეობისა და მიზნობრივ ჯგუფებში (ინვალიდები, მარტოხელა მოქალაქეები, დევნილი მოსახლეობა და სხვა) ფსიქოსოციალური დახმარების ორგანიზაციის ხელშეწყობა;
- წყალმომარაგების სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის ღონისძიებათა შემუშავების უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების ტერიტორიის დასუფთავების, ნარჩენების განთავსების, უტილიზაციის, განადგურების სქემების შემუშავება კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- ქუჩების, ეზოებისა და სხვა ტერიტორიის დასახლებული ადგილების, აგრეთვე, რეკრეაციული ზონების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- კულტურის, სპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამრეწველო სანარმოებსა და დაწესებულებებში, საზოგადოებრივ შენობებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა-მონიტორინგი, მონაცემების მიწოდება თვითმმართველობის ორგანოებისათვის;
- ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური რეჟიმის ორგანიზაციის ხელშეწყობა, მონიტორინგი;
- შრომის პირობების სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა და ზედამხედველობა.¹²¹

წესდების თანახმად, ცენტრს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. მას თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

¹²¹ ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ წესდება, მუხლი 2.

ასევე მნიშვნელოვანია ცენტრის დაფინანსების საკითხი, რომელსაც წესდების მე-5 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ცენტრის შემოსავლების წყაროა, დამტკიცებული პროგრამული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან განსაზღვრული თანხები. ცენტრის ფინანსური რესურსები გამოიყენება მუნიციპალურ-პროგრამული ღონისძიებების, სამსახურის ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, მატერიალური სტიმულირების უზრუნველსაყოფად.

ცენტრის წესდების მე-6 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობას. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო. დირექტორი განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცენტრის სამსახურის უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე. საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მოწოდება. თუ საკრებულო ახორციელებდა საკუთარ უფლებამოსილებას, მას უნდა მოეთხოვა სამსახურის დირექტორის ანგარიში განეული საქმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საკრებულოს არ მოუწოდებია ცენტრის მიერ მისთვის წარდგენილი ანგარიში.

3. ააიპ „თელავის სასპორტო გაერთიანება“

2008 წლის 29 სექტემბერს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თელავის სასპორტო გაერთიანების“ (შემდგომში „გაერთიანება“) დაფუძნების თაობაზე. იმავე ბრძანებით დამტკიცდა გაერთიანების წესდება.¹²²

¹²² თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულება #43, 29 სექტემბერი, 2008.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი რეგისტრაციაში გაატარა 2008 წლის 2 ოქტომბერს.

გაერთიანების წესდების მე-3 მუხლით განისაზღვრა მისი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის ფორმები, ესენია:

- ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სასპორტო გაერთიანების სკოლებისა და კლუბების პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება;
- სასპორტო გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით, ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, წლიური სანვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;
- სასპორტო გაერთიანების სკოლებისა და კლუბების მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის), ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და სანვრთნელი ბაზის შექმნა შესაბამის სპორტის სახეობათა მიხედვით;
- თანამედროვე სანვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტული ღონისძიებების კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;
- მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა;
- სასპორტო გაერთიანების სკოლების და კლუბების მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება;

- თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, სხვადასხვა საწვრთნელი საქმიანობის განხორციელება სპორტის რამდენიმე სახეობაში დადგენილი ეტაპების შესაბამისად.¹²³

გაერთიანების წესდების მე-4 და მე-5 მუხლები განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. გაერთიანების სტრუქტურა მოიცავს დირექციას (დირექტორი და მოადგილე) და პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს. მის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ასევე მნიშვნელოვანია გაერთიანებისათვის ქონების გადაცემისა და მისი მართვის საკითხები, რომელსაც წესდების მე-7 მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაერთიანება დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონების ბაზაზე. სასპორტო გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

- შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები;
- ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
- დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
- სპორტულ-მასობრივი ღონისძიების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;
- ნებაყოფლობითი შემონირულობანი;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.¹²⁴

წესდების მე-10 მუხლის თანახმად, გაერთიანების საქმიანობა

¹²³ აიპ „თელავის სასპორტო გაერთიანების“ წესდება, მუხლი 3.

¹²⁴ აიპ „თელავის სასპორტო გაერთიანების“ წესდება, მუხლი 7.

ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობას. „სასპორტო გაერთიანების“ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო. დირექტორი განეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მოთხოვნის შესაბამისად.¹²⁵ საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ-ების მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშების მონოდება. თუ საკრებულო ახორციელებდა საკუთარ უფლებამოსილებას, მას უნდა მოეთხოვა სამსახურის დირექტორის ანგარიში განეული საქმიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საკრებულოს არ მოუწოდებია გაერთიანების მიერ მისთვის წარდგენილი ანგარიში.

¹²⁵ ააიპ „თელავის სასპორტო გაერთიანების“ წესდება, მუხლი 10.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები აქტიურად იყენებენ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და აფუძნებენ ააიპ-ებს. ამგვარ ააიპ-ებზე ხდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფუნქციის დელეგირება. ისინი იქმნება როგორც ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ასევე სხვადასხვა სოციალური, საგანმანათლებლო თუ სპორტული მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის ანალიზი და არსებული პრობლემების გამოკვეთა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

- უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული ააიპ-ების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი გაიზარდოს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და სახელმწიფო ქონების გასხვისებისას არსებული რეგულაციების გამოყენება ამგვარი ააიპ-ების საქმიანობაში. ასევე, ააიპ-ების საჯარო დაწესებულებად განხილვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან მიღებული დაფინანსების ფარგლებში და პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ააიპ-ის დაფუძნებისას გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დაასაბუთონ, თუ რატომ გახდა საჭირო ამგვარი გადაწყვეტილების მიღება და მიუთითონ იმ კონკრეტულ უპირატესობებზე, რაც ახასიათებს ააიპ-ის ფორმით საქმიანობას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. დასაბუთების ვალდებულება ასევე უნდა გავრცელდეს ისეთ გადაწყვეტილებებზე, როგორიცაა: წესდების ცვლილება, ააიპ-ის რეორგანიზაცია თუ ლიკვიდაცია და სხვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ მათ მიერ დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის სრულფასოვანი მონიტორინგი როგორც

საქმიანობის შეფასების, ისე ფინანსების ხარჯვის ნაწილში. ააიპ-ებს უნდა დაეკისროთ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება, ხოლო წარმოდგენილი ანგარიში დეტალურად უნდა იქნეს განხილული დამფუძნებელთა მიერ. ასევე, ამგვარი ანგარიშები წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი გაცემა მოთხოვნის შემთხვევაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის ოფისი

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

ბათუმის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი

სტალინის ქ. №19/1, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი

კოსტავას 15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი

ბარნოვის ქ. №10, 2200
ტელ: + (995 350) 230745
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge